სამარცხვინოდ წაგებული მატჩი

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 6 ნოემბერი.

“დინამო” (თბილისი) – „ბურევესტნიკი“ (კიშინიოვი) – 0:3 (0:0).

“დინამო” – ს. კოტრიკაძე, ელოშვილი, ჩოხელი, ხოჭოლავა, კილაძე, რამიშვილი, ქვლივიძე, გაგნიძე (ა. კოტრიკაძე), ჭკუასელი, იამანიძე, მესხი.

“ბურევესტნიკი” – ერემეევი, ლევკინი, სამოხინი, მირგოროდსკი, მარკევიჩი, ბუტილკინი, ფალამეევი, დანილოვი, კოროტკოვი, მუხორტოვი, დერიაბინი.

მსაჯი: ნ. შვეცოვი (მოსკოვი).

გუშინდელი მატჩის დაწყების წინ სტადიონის ტრიბუნებზე მრავლად იყო თავისუფალი ადგილები. თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ თბილისის “დინამოს” კალენდარულ თამაშზე ცარიელი ყოფილიყო ტრიბუნა, მაგრამ იმათ, ვინც არ მოვიდა თბილისელთა მატჩზე კიშინიოვის “ბურევესტნიკთან”, ბევრი არაფერი დაუკარგავთ. მათ არ ნახეს მხოლოდ დინამოელთა უაღრესად სუსტი, უსუსური და ქაოტური თამაში, არ ნახეს მათი სამარცხვინო წაგება საკუთარ მინდორზე.

სტვენა ტრიბუნებზე წესრიგის დარღვევაა. მაგრამ როცა თბილისის “დინამო” მატჩის დამთავრების შემდეგ გვირაბისაკენ მიდიოდა, მთელი სტადიონი გამაყრუებლად უსტვენდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა აღშფოთების გამოხატვა მათი უხამსი თამაშის მიმართ და ძნელიცაა დააყვედრო გულშემატკივრებს ასეთი “წესრიგის დარღვევა”.

ეს იყო პირველობის ერთ–ერთი ყველაზე უინტერესო, უგეგმო თამაში. მისი ტაქტიკური შეფასება მხოლოდ ასე შეიძლება: “ურტყი და ირბინე”.

დინამოელთა თამაში ყოველმხრივ ხელს უწყობდა კიშინიოველებს. ისინი ძალისმიერ ბრძოლაში აშკარად ჯობნიდნენ მოწინააღმდეგეებს, მეტი მონდომებით იბრძოდნენ ბურთისათვის, ხოლო მინდვრის შუაგულში “დინამოს” ფიზიკურად მეტად სუსტ ნახევარმცველებთან მათ შეძლეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მიმდინარეობდა ყოვლად უგეგმო, უაზრო სირბილი, რასაც “ა” კლასის ფეხბურთის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდა. “დინამოს” თავდამსხმელებმა ვერ შეძლეს ვერც ერთი ხეირიანი კომბინაციის გათამაშება, ვერც ერთი რეალური საფრთხის შექმნა მეტოქის კართან.

ანალოგიური იყო მეორე ტაიმიც. კვლავ ბურთის ზედმეტი ტარება, არაზუსტი გადაცემები, შეჯგუფებული თამაში, რასაც ბოლოს დაერთო აშკარა, დაუფარავი უხეშობა, მსაჯთან კინკლაობა.

ერთი სიტყვით თბილისელთა გუნდს მთლიანად და ყოველ მის წევრს ცალ–ცალკე ამ თამაშისათვის სამართლიანად ეკუთვნით შეფასება – „2“.

სამი “მშრალი” გოლი კიშინიოველებმა სრულიად უბრალოდ, ყოველგვარი გართულებების გარეშე გაიტანეს. პირველად ეს გააკეთა დერიაბინმა მე–9 წუთზე, შემდეგ დანილოვმა 30–ე წუთზე, ხოლო მატჩის დასასრულს იმავე დანილოვმა “დინამოს” რამდენიმე მცველი თავისუფლად მოატყუა და სულ ახლოდან “დაამრგვალა” ანგარიში – 3:0.

6 ნოემბერს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მარტო მწვრთნელების ცვლა საქმეს არ უშველის. საჭიროა ძირეული, კარდინალური ცვლილებების მოხდენა თვით გუნდის შემადგენლობაში. თბილისის “დინამოში” უნდა ითამაშოს მხოლოდ იმან, ვინც ამის ღირსია.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 7 ნოემბერი, 1957 წ.